მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე

სხდომის ოქმი N3

ქ.წალენჯიხა

12 თებერვალი 2015 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია

საკრებულოს 29 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 24 დეპუტატი: გონერ კვარაცხელია, დალი კვარაცხელია, ილია გულუა, ანზორ ფიფია, ვახტანგ ქუჩულორია, მერაბ კვარაცხელია, ლევან ფიფია, დარეჯან დადიანი, ივერ კვარაცხელია, ბესიკ ფარცვანია, ბორის კვარაცხელია , ნესტან გოგოხია, ბაჩუკი უბილავა, მალხაზ ფიფია,დავით ფიფია, ლევან შელია, ცოტნე მესხია, კობა შანავა, ვლადიმერ კვარცხელია,ნონა კვარაცხელია, მარინა კალანდია, ელგუჯა მესხია, ავთანდილ გაბელია.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელის მოადგილე გიორგი ლუკავა, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის, მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურების, ა(ა)იპ –ების, საზოგადოების, მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომა დაიწყო: 12:00სთ. **სხდომა დასრულდა:** 13:00 სთ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი.
საკრებულოს წევრების მიერ სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

დღის წესრიგი:

1. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის საქართველოს მუნიციპალური გავითარების ფონდსა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტს შორის საინიციატივო დაფინანსების ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ.
მომხსენებელი: გიორგი ლუკავა–მუნიციპალიტეტის გამგებელის მოადგილე.

მოისმინეს:1 „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის საქართველოს მუნიციპალური გავითარების ფონდსა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტს შორის საინიციატივო დაფინანსების ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

საკითხი წარმოადგინა გამგებლის მოადგილემ გიორგი ლუკავამ.
აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებმა მარინა კალანდიამ და ელგუჯა მესხიამ გამოთქვეს შენიშვნები, რომ აღნიშნულ პროექტზე საჭიროა მოსახლეობის მეტი ჩართულობა და მათი აზრის გათვალისწინება.
საკრებულოს წევრებს სხვა განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.
სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ. ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.
ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 22 დეპუტატი, წინააღმდეგი 1 – ელგუჯა მესხია, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია ავთანდილ გაბელიას) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N7) .
ამით საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საკრებულოს თავმჯდომარე: **თემურ ღვინჯილია**

საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA
5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; tgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა

12 თებერვალი 2015 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N 7

წალენჯიხის მუნიციპლიტეტის გამგებლისთვის საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტს შორის საინვესტიციო დაფინანსები ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის „დ,გ“ ქვეპუნქტის და 54-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ პუნქტის „გ,ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

1.მიეცეს თანხმობა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელს გააფორმოს საინვესტიციო დაფინანსების ხელშეკრულება, წალენჯიხის მუნიციპლიტეტსა და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს შორის „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ფახულანის ცენტრიდან საბერიოს საზღვრამდე არსებული გზის რეაბილიტაციის ქვეპროექტის განხორციელების შესახებ“. (ქვეპროექტის საბაზისო ღირებულებაა 2 196 525.22 (ორი მილიონ ასოთხმოცდათექვსმეტი ათას ხუთასოცდახუთი ლარი და ოცდაორი თეთრი), მათ შორის გრანტი 30% (658 957.57 ლარი), კრედიტი–50% (1 098 262.61 ლარი). მუნიციპალიტეტის ვალდებულება–თანამონაწილეობა დაფინანსებაზე შეადგენს 20%–ს (439 305.04 ლარი));

2.განკარგულება ძალაშია, კანონით დადგენილი წესით, გაცნობისთანავე;

3.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. N12).

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: თემურ ღვინჯილია